

ივერია

ბაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
01	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებებთან დასაბუჯდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელირის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ. შემოსუხედ — 8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ახალი ამბავი

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს 17 იანვარს, 1896 წ.

ქართულ დრამატულ საზოგადოების
დასასახან
წარმოდგენილი იქნება
ვალერიან გუნიას საბე-
ნეფისოდ
პირველად ახალი პიესა

I
პირველი ბუზი
კომედია 3 მოქმდ. გადმოკეთებ. მლიჩკოს
პიესიდან ვალ. გუნიას მიერ

II
ცხოვრება
დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვალ. გუნიასი

მონაწილეობას ღებულობენ: ეფ.
მესხისა ავალოვისა, ჩერქეზივილისა,
ჩხეიძისა, და სხვ. ბ-ნი აბაშიძე,
ალექს. მესხივეი, კ. მესხი, გუნია,
სვიმონიძე, გედევანოვი, ადამიძე,
და სხვ.

ადგილებს ფასს ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოქე-
ბის უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
24 იანვარს, დანიშნულია ბენეფი-
სი გ. გედევანოვისა
რეისორი ვლ. ალექსი-მესხივილი

გამგეობა ქართულთა ამხანა-
გობისა ამით აცხადებს, რომ თე-
ბერვლის პირველიდან 1896 წ.
წევრთ ამხანაგობისს შეუძლიანთ
მიიღონ ხვედრი დივიდენდი.
3-2

ფალეცონი

მშვენიერი ცა-მოწმენდილი მკათა-
თვის დღე იდგა. ბარში ცა-მოწმენ-
დილი მკათათვის დღე არამც თუ
მშვენიერია, არამედ უვარგისია აუ-
ტანელ სიციხის გამო, მაგრამ მე მთა-
ში მოგახსენებთ, სადაც რაც დღე
ცა-მოწმენდილი და მზიანია, მით
უფრო სასიამოვნოა კაცისათვის. კაცს
არ აწუხებს არც ის სიციხის ბული,
რომელიც ჩვეულებრივია ჩვენ ბარში
ამ დროს და არც ხმელი სიცივე,
რომლითაც ძლიერ უხვია ჩვენი კავ-
კასიონის მთები. ზაფხულს ზედი-
ზედ რომ სამი-ოთხი დღე წვიმები
დადგნენ, ისე აცივდება მთა, რომ
კაცს კბილს კბილზე აცივინებს, წვე-
რობზე ხანდახან თოვლიც მოდის.
მაგრამ თუ ცა-მოწმენდილია, მზიანი
დღეა, მაშინ ზაფხულში მთას არა
შეეძრება-რა, მკითხველო.
რა შეეძრება, მთებო, თქვენს
წვერებს
თოვლით მოსილებს და მშვენიერებს?
რა შეეძრება თქვენს მწვანე კალთებს
ქორთა ბალახით და ყვავილებით
მოფენილებს და შემომკულებს,
სადაც რომ მწყემსი, ის შენი შვილი

* დღეს, 17 იანვარს, ქართულ
დრამატულ დასისაგან ქართულის
სცენის არტისტისა და ქართული პი-
ესების მწერალ და გადმოკეთებელი
ბ-ნ ვ. გუნიას საბენეფისოდ წარმო-
დგენილი იქნება პირველად ახალი
პიესა „პირველი ბუზი“, კომედია 3
მოქმედებად ელიჩკოს პიესიდან მო-
ბენეფისის-მიერვე გადმოკეთებული და
მეორე „ცხოვრება“, დრამ. სურა-
თები 2 მოქმ. ვალ. გუნიასი. წარ-
მოდგენაში მონაწილეობას იღებენ
საუკეთესო არტისტნი ქალნი და
კაცნი. იმედია ქართველი საზო-
გადოება გულ-ცივობას არ აღ-
მოუჩენს ასეთს მშრომელს არტისტს
და დიდს სიამოვნებით დაესწრება
ამ წარმოდგენას, მით უფრო, რომ
ახალი პიესაა დანიშნული.

* ამ უმაღლესი შარაძისა და აშხ.
სტამბაში იბეჭდება ე. ბელაშვილის
ცნობილი სოციალოგიური რომანი
„ასის წლის შემდეგ“ თარგმანი დ.
კალანდარიშვილისა და გამოცემა ან.
გოგიაშვილისა.

* ორშაბათს, 15 იანვარს, სა-
ლამოს, ფოსტის სადგურის ბაღში
თავი ჩამოიჩრა იმ დღესვე კავკაზი-
დამ ჩამოსულმა დერბენდის პოლკის
ოფიცერმა ბონ შვეცკომ. განსვენე-
ბულმა წერილი დასტოვა, ჩემს სიკვ-
დილს ნურავის დააბრალებთო.

* რაჭაში სოფ. კობრევეს, ჩუღსა
და პარახეთს საქონლის კირი მძვინ-

ცხვარსა აძიებს და სალამურსაც
ზედ ნაღვლიანად დადღუნებს.
რა შეეძრება ერთი მითხარი
მაგ შენ ანკარა, მდღლარე ჩხატებს,
რომლის ქუხილი და მათ ჩხრიალი
გულ-მომკვდავ კაცის ტირილს მაგო-
ნებს?!..

დიალ, ერთ ამნაირს სასიამოვნო
დღეს ვიჯექი ერთ ტბათანის*) მთის
გორაკზე და ესტუმბოდი მშვენიერ
სურათით. ერთ კლდიან სპეროზის
მთის კალთაზე უცბად დაგინახე ცე-
ცხლის ბოლი. გამივიკრდა. რამ გა-
აჩინა ეს ბოლი ამ მთაზე? თუ ვინმე
მემცხვარემ ანთო ცეცხლი, რომ
გეწაღებინა თავისებური ყაურმა.
შეუძლებელი იყო, რადგანაც ამ
მთაზე ცხვარს არ აძიებენ; იმის-
თვის რომ ეს მთა წმინდა გიორგის
ეკუთვნის. ამ მთის ძირში სალოცა
ვიც არის და ამ სალოცავის რისხვას
ერიდებიან.

სპეროზის მთას მიჰკვრია ერთი
მთა, რომელსაც ამირანის მთას ეძა-
ხიან. ხალხის თქმით ამ მთაში მიჯა-
ქვულია ერთ კლდეზედ ამირანი. გვერ-
დით ამირანს უდგია თურმე ძაღლის
ლეკვი, რომელიც ლოკავს ჯაქს და

*) ტბათანა — მდლა: ეს მთა შეადგენს
სამხრეთ-დასავლეთის ბორბალის მთის შტოს.
ამ მთაზე ზაფხულში წოვა თუშები დე-
ბიან.

ვარებს. ქუთაისის მხრის სოფ. სა-
კუნისა და ბაბს და ქალაქ ფოთ-
ში საქონელს თურქული გაუჩნდა.
(*ტ. ლ. ა.*)

* გუშინ-წინ, 15 იანვარს, ტფი-
ლისის ქალაქის საბჭოში მოხდა არ-
ჩვენი ქალაქის მოურავის მოადგი-
ლისა. უყარეს კენჭი გამგეობის წევრს
ა. ა. ივანენკოს. ივანენკომ მიიღო
23 თეთრი და 26 შავი კენჭი.
(*ენ. ობ. ა.*)

* რადგანაც ტფილისის ქალაქის
საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს,
რომ გადადებულ იქნას ხუთის წლით
სადგომებზედ გარდასახადის შემოღე-
ბა, ხმოსანს შახაზიზოვს შემოაქვს
საბჭოში წინადადება დაიწყოთ შუა-
ამდგომლობა იმის შესახებ, რომ, თუ
პირველ შუამდგომლობაზე უარი მო-
უვიდათ, მიენიჭოს ქალაქს უფლება
ხუთის წლის განმავლობაში სადგო-
მების გარდასახადი ქალაქის მოწყო-
ბას მოახმაროს. (*ენ. ობ. ა.*)

* დ. ცხინვალის: 7 ამ თვისას,
სალამოზე ბ-ნი გუგუშვილი დაეცა
სოფ. დვანში დიდი ხნის ქურდს
აგ-შვილს და გასთოკა; თუმცა ბე-
ვრსა ცდილა ეს ვაებატანი თავი
როგორმე დაეღწია, ხანჯალისთვისაც
მიუმართავს, მაგრამ ვერას ვახდარა.
აგ-შვილისთვის ჯიბეში რამდენიმე
მოხერხებული ბილეთები და მოწმო-
ბები სხვა-და-სხვა დაწესებულებები-
სა და ბოქაულებისა უპოვნით.

ს. დვანიდამ გუგუშვილი გაქეუ-
ლა ღამევე და დასცემია მეორე ავა-
ზაკს მეორე სოფელში და ისიც იქ
გაუთოკავს და ამ ნაირად ორივენი

და ამ ლოკვისაგან ჯაჭვი წვრილ-
დება. ეს არის უნდა გასწყვიტოს,
მაგრამ მჭედლები ქრისტეშობის და
მეს სამჯერ დაჰკარვენ ჩაქუჩს სამჭე-
დლოში. დედაკაცებიც (?)
და ამის გამო ჯაჭვი ისევ სხვილ-
დება.

ამირანის გვერდით ცოტა მოშო-
რებით, რომ არ შეეძლოს მიწვდო-
მა, ძვეს მისივე ხმალი ისეთი დიდი
და მძიმე, რომ პატრონის მეტს არა
კაცს არ ძალუქს მის ალაგადამ დან-
ძრევა. მოვა დრო, ამბობს ხალ-
ხი, როდესაც ამირანი გასწყ-
ვეტს ამ ჯაჭვს და მაშინ ვაი
მჭედლებსა და მანდილოსნებსაო. ხა-
ლხის თქმითვე წელიწადში ერთხელ
იღება მისის ოთახის კირი. ეს დღე
ახალი წელიწადის დღეა. ხან-და-ხა-
ნაო, ამბობს ხალხი, ამ მთიდან ისე-
თი გრგვინვა გამოდისო, თითქო მთე-
ლი დედამიწა ინგრეოდესო.

რამ დასაჯა ასე შეუბრალებლად
ეს გმირი? აი როგორა ხსნის ხალხის
თქმულება: ამირანი ყოფილა ღმერ-
თის მონათლული. ამირანი ისეთი
გმირი და ღონის პატრონი ყოფილა,
რომ მომრევი არა ჰყოლია ქვეყანა-
ზედ, დევებს ხომ მუსრს ავლენდა.
ღონით გათამამებულმა ამირანმა გა-
მოიწვია ღმერთი საქიდაოდ. ღმერთ-
მა ჩასო მიწაში რკინის პალო, მი-

ბ-ნ თვისას შემოაბრძანეს ცხინვალ-
ში.

გარდა ამისა იმავე ღამეს 7 იანვ-
რისას ბ. გუგუშვილის თაოსნობით
და დარბევით შეუბყრიათ ერთი
ავაზაკი, რომელიც ცხინვილიდან ყო-
ფილა გამოქცეული და იმალებოდა
სხვა-და-სხვა ალაკას ს. ცხინვალში-
ვე — და ასე ამ რიგად სამივე ავაზაკ-
ნი გარდაუცია მართლ-მსაჯულები-
სათვის.

* ბათუმიდამ მოგვიცხადა ცნობა,
რომ ქართულ სალამოს 14 იანვარს
მშვენიერად ჩაუვლია. მთელი კლუ-
ბის დარბაზი და ოთახები საგვე იყო
საზოგადოებით. ბევრნი იყვნენ ქუ-
თაისიდან და სხვა საქართველოს კუ-
თხეებიდამ.

* იქიდანვე: 31 დეკემბრის და-
მეს სიმთვრალით ვილაცა უცნობი
ქართველი, 28 წლის კაცი სოფ.
ხეთის ახლო წაქეულოყო და სუ-
ლი დაეღია. ეს კაცი უკვე დაუსა-
ფლავებიათ, მაგრამ დღევანდლამდე
არავინ იცის იმის ვინაობა და პატ-
რონი ჯერ არ გამოსჩენია.

* საერო განათლების სამინისტ-
როში ჰფიქრობენ განიხილონ საქმე
იმის თაობაზე, რომ ახალ წლის შე-
მდეგ სასულიერო სემინარიებში კურს-
შესრულებულთა შორის უკეთესსა
ნება ჰქონდეს უნივერსიტეტში შეს-
ვლისა აღმოსავლეთის ფაქულტეტზე
იმ პირობით-კი, რომ სხვა ფაქულ-
ტეტზე მერმე არ გადავიდეს. (*ნ. ვ.*)

* გავკავი. ექვს იანვარს ნაუ-
ლი-ღება ღამეს ერთი სამშუ-
ხარო და საზიზღარი მკვლელობა მო-

აჯაჭვა ამირანი და უთხრა: აბა თუ
ლონიერი ხარ, გასწყვიტეო. გმირმა
გასწია და გასწყვიტა. ღმერთმა უფ-
რო მაგარი ჯაჭვით მიჯაჭვა — ამირა-
ნმა ესეც გასწყვიტა. ღმერთმა მესა-
მედ მიჯაჭვა, ამირანმა ვეღარ შეიძ-
ლო ჯაჭვის გაწყვიტა და დარჩა აც
მიჯაჭვული ამ მთაში.

ისევ ბოლს მიგუბრუნდეთ. მაშ
საიღამ უნდა იყვეს ეს ბოლი? ვეკი-
თხებოდი ჩემს თავს. ვფიქრობდი,
მინდოდა როგორმე ამეხსნა ეს მოვ-
ლენა, მაგრამ ამაოდ.

— რას უყურებ აგრე გაშტერებუ-
ლი? უცბად მომესმა ვილაცის ხმა...
მიგუბრუნდი იმ მხარესკენ, საიდგანაც
მომესმა ხმა და დაგინახე ჩემკენ მო-
მავალი ყავარჯენით ხელში მოხუცი
თუში.

მე ვიცნობდი ამ პატრონის მო-
ხუცს. ეს ძველებური, ძველი ტრა-
დიციის კაცია. დიად რომ ბევრი
ბრძოლის ცეცხლი, ბევრი ხმლის
ტრიალი ლეკებთან დაღესტანში ენა-
ხა ამ კაცს. ბევრი მამა-პაპის გარდ-
მონაცემი ძველი ამბები იცოდა და
ამისათვის მოვისურვე მესარგებლნა
ამ შემთხვევით და მომესმინა მისგან
რამე ძველი ამბავი.

სალამის შემდეგ მოხუცი დაჯდა
ჩემთან.
— აი, იმ სპეროზის მთაზე ცეცხ-

ხდა კავკავში. საქმე ასე იყო: შეიღს
ამ თვეს დილით იზოვენს ერთი კინ-
ტობაყალი, სომეხი მღ. თერგის პი-
რზედ ყელ-გამოკრილი. იქვე ახლო
თოვლზედ იყო სისხლის ნანთხევი და
ფეხით ნატყენი-ნაბრძოლი. ყელ-გა-
მოკრილს ეტყობოდა, რომ რამდენ-
ჯერმე ხან ყბაში და ხან იქეთ-
აქეთ ყურის ძირში ჰქონდა დანა და-
ცემული. საბრალოს ცალი ხელი უბე-
ზედ ჰქონდა მოკერილი, ალბათ უბეში
ფული ჰქონდა და როცა აცლიდნენ
ფულს, მაშინ წაივლო უბეზედ ხე-
ლი და ისე დაჰჩრა. ექვსი თუშანი-
კი წალის ყელში უპოვნეს. გამოძიე-
ბა სწარმოებს.

* ბარის ოსები: ექვს ამ თვეს
აქეთ, ბარის ოსებში, ძრიელ თბილი
ამინდები დაიჭირა. თოვლი სულ
დნება, გზებზედ და ქუჩებზედ ნიაღ-
ვრები სდის და დიდი ტალახობაა.

* ტფილისის საგუბერნიო მმარ-
თველობას ცირკულიარი მოუვიდა,
რომელშიაც სწერენ, რომ რადგანაც
კავკასიის რკინის გზაზე მატარებლე-
ბმა სიარული დაიწყეს, გასაგზავნი
ბათუმ-ქუთაისს, ფოთსა და ახალ-
სენაკზე ტუსადები, რომელნიც ტფი-
ლისის ციხეში არიან დაბატმრებუ-
ლნი, ეხლავე ეტაპით გაგზავნეთო.

* ნოვოროსიისკიდგან აუწყებენ
ტფილისის პოლიციას, რომ 11 იან-
ვარს იქ გაუძარცვათ ქ. ბაბიკაიას
მალაზია, საიდგანაც წაუღიათ 12500
მან. ბრილიანტები, ოქროულობა და
აგრეთვე ვერცხლის ნივთები.

* მომავალ მასში მოსკოვში
მათის იმპერატორებითი უდიდებუ-

ლის ბოლი ადის, დავიწყე მე, და
იმას ვუყურებდი! არ ვიცი საიღამ
გაჩნდა იქ ბოლი. ნეტავ ვინ ანთო
იმ კლდიან მთაზე ცეცხლი? მოხუც-
მა შეჰხედა მთას.

— ეჰ, ტყუილად ვუყურებ, ვეღა-
რა ვხედავ, სიბერისაგან თვალები
დამისუსტდნენ.

— მაინც, დავეითხე, ვის უნდა
აენთო იმ მთაზე ცეცხლი?

— მონადირე ვინმე ფშაველი იქ-
ნება. ალბად მოჰკლა ნადირი და
ატყობინებს სოფელში *) თავისი-
ნებს, რომ მოეშველნენ ჩამოსატა-
ნად.

— სოფელში თავისიანები როგორ-
და გაიგებენ, რომ იმან იქ ნადირი
მოჰკლა და უნდა ჩამოსატანად მიე-
შველნენ?
— აგრე იციან მაგათ. მონადირე
ეტყუდა რომ, სპეროზის მთაზე ვი-
ქნები და ყურადღება გქონდეთ,
თუ ცეცხლის ბოლს დაინახავთ, ამო-
დით. ეხლა დაინახავენ ბოლს და წა-
ვლენ ჩამოსატანათ.

ჩამოვარდა სირქო. მოგვხსენებათ,
რომ საზოგადოთ მოხუცი ბევრი
ლაპარაკის მოსიყვარულენი არ არიან.
ამისათვის მე დავიწყე ისევ, მინდო-

*) იმ მთის ძირას ხევში პატარა ფშავე-
ლების სოფელია.



ლესობის დაგვირგვინების გამო კავკასილამ და ნამეტნავად მარტო ტფილისილამ მრავალი თხოვნა მოწყალბების შესახებ ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე გაუგზავნიათ. მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის კანცლარია ამ თხოვნებს უკანვე ჰგზავნის იმ ალაგებში, საიდაამაც იგინი გაგზავნილი არიან, რომ პოლიციამ შეტყობოს ცნობები იმის შესახებ მართლა შეუძლებელია მთხოვნელი თუ არა. მარტო ტფილისში გუშინდლამდე პეტერბურგიდამ მოსულა 6529 ამგვარი თხოვნა. ეს თხოვნების ქლალდები ყოველ დღე კავკასიის მთავარ-მართებლის კანცლარისა და გუბერნატორის კანცლარისა 500—600 ქლალდამდე მოსლის გამოსაძიებლად.

* ტფილისის პოლიციმისტერმა გუშინ ოფიციალურად აცნობა წყალთა და მდინარეთა მხსნელ საზოგადოების განყოფილების მმართველობის თავმჯდომარეს დ. ს. ს. ოტტო სიმონსონს იმ უბედურობის შესახებ, რომელიც კვირა ღამეს მოხდა კუკონის ხიდის ქვეშ, სადაც პოლიციისა და ხალხის თვალწინ დაიჩრა ვილაც დედაკაცი, რადგანაც თავის დროზე არ უშველეს არც ნავით, არც თუთოკის მიწვდით ხიდიდან. ამიტომ პოლიციმისტერი სთხოვს დ. ს. ს. სიმონსონს ქალაქის ხიდებზე სულ მუდამ იქონიოს ამ საზოგადოებამ მოზმული თოკი დასახსნელად დარჩობისაგან და აგრეთვე რამდენიმე დასახსნელი ნავი.

* ტფილისის საპატრიოტოა უფროსების რაპორტებიდანა სჩანს, რომ 15-ს იანვარს ტფილისის საგუბერნია საპატრიოტოში 277 ტუსალი ყოფილა, მხოლოდ მეტეხში-კი 46ს, ამთაგან საპოლიტიკო ბრალდებულნი (სომხები) 11 კაცი, სადამინისტრაციო 2, კეთილ შობითგანი 16 კაცი და დანარჩენნი-კი გლეხნი არიან.

შეცდომის განმარტება.

გუშინდელს ნომერში „ახალ ამბავში“ დასტამებულია შეცდომით: „4549 ქართველი“. უნდა იყოს: „4549 ქართლ-კახელი“.

მთავრობის განკარგულებაში.

კავკასიაში და კასპიის იმიერ მხარეში საექციზო გამგეობისაგან დახიშნულ იქმნენ: უმცროსი კონტროლერება 7 ნაწილისა საგუბერნია მდებარე გიორგი დეკანოზიშვილი და 5 ნაწილისა იოსებ ჯანელიძე იმავე ნაწილებსა უფროს კონტროლერებად, 1-ლ ანგარიშად 1896 წლისა.

გადაყვანილ იქმნა IV ნაწილის უმცროსი კონტროლერი ისიდორე ქიქოძე იმავე თანამდებობაზე მეორე ნაწილში, 1-ლ ანგარიშად 1896 წ.

ქ რ ა ს კ ო ნ დ ე მ ც ი ა.

მ. სიღნაღი, 11 იანვარი. წარსულს 1895 წელსე საიდუროვის მეტი არა გუთქმას რა, ამ წელს საშისლად დაზიანდა მთელი გუბერია და სიღნაღის მაზრის კენახება. ვისაც ათი საზღვრე ღვინო მოსდობდა, ამ წელს ათი ჩათვი არ მოუვიდა და ისიც კოწამისი და უკარგისა, იმავე წელსა დაწერა უკარგისა სხელი, და არ მოგვტა არც ერთი ნაყოფი; იმავე წელს აკვირდა (განუწყვეტელი წვიმების გამო) ბუკის ადგილას ბუკის ყანები და გუდა-ფეშტით გადააქნა თათთაყი ყანებისა იქ, სადაც დაბლს ადგილებში იყო დათესილი. მალე ადგილებში დაფრდობსეკი საკმოდ ბუკის მოგვიდა ბუკი, ქერი, ფეტვი და სიმინდი. მაგრამ რა? ჩვენი ურგები გინდ იუოს და გინდ აზო, გაიძისს მშრომელი კაცი. ამასაც არა აქვს ისეთი ფისი, რომ მხენელ-მთესელებს იმდენი ისარგებლოს, რაც დაუხარჯავს და შრომის განს სჩივის, ისე გასინჯეთ აქ, სიღნაღში, მშენებელ თუთრ ქაღალდით ბუკის ფქვილში ფუთში იმდენი 40—50 კაზ. და თუ გაჭირდა 60 კაზ. ახა რა ჭქნას გაჭირებულმა და სელ-

მაკლე ხალხმა, მაშინ როდესაც კარსე ადგა ისაული სახელმწიფო ფულისა, მღვდლისა, სოფლისა, გზინ-დასაქებისა და სხვათა. რით გაუძღვეს ამოღება დავა-დაზიანება, მაშინ როდესაც ბუკის მეტა არა ახადია-რა და ამასაც ფისი არა აქვს; ჩარჩები კი უადულებენ ღვთის წინაშე ფუთს შეინდის გურგასკით ხობადას 20, 25, 30 და 35 კაზ. სუკით ადარა. ამ 35 კაზ. მუნათით და უკედრებით იმდენიან. ამ უკედრით წელსეკი მოქმეტა გუბერნიის საკრო გარდასასხდი ორის წლისა ერთად მთელს სიღნაღის მაზრას 130,000 მან. მეტა, რამც საგრძნობელად უკან დასწია ჩვენი გლეხ-გლეხობის ოჯახსა და იმულებული გახდა ერთადერთი სადსაკი ცხოვრებისა ჩალის ფისად აძლიან გაჭირ-ჩარჩებს. იმავე წელსეკი გავიწყვიტა ბუკის ადგილებში ოთხ-ფენი საჭიხელი სხვა-და-სხვა საქმისა სქნმა.

ამ უმად სიღნაღის მომავალ თვით-მმართველობაზე დიდი იმედი გვაქვს, თუ არ გაგვიტყუდა. ქადაქის ბნეარ-ტეხზე, თუ დიხსუული მოურავა ავირ-ნაუთ, მაგრამ კეკობთ, აქ ქსლავ რადარ ბარტიობას და ამოღება ქადაქში მარტო გამაგნადეს 160 ხმის მეტეხ კაცი და მამულის ბატონი! ნუ თუ, ორის ათასზე მეტი კოლია, და მარტო ამ 160-ს კეუთენის ეს ამოღება ქადაქა? არა მგონია ეს წესი იყოს. აქ სიღნაღში ბუკის სოფლებსა კარგი მამულები და შენობებიც აქვს და თუ ჩვენი მოქალაქეები დიდი „ოცნახრის“ ფულით სარგებლობენ, რატომ სოფლებში-კი არ უნდა ისარგებლონ ხმონობით? უკარ-ჯარობით ქადაქის მოურავი არ გვიჩინს. ვნახოთ, იქნება ამოჩვენის დროს ერთის მაკიერ ათი ადამიანს, თუ ბარტიობამ არ მიმდა. ჩვენს მხარეს შემოდგომამ წყნარად და დარებით გაიარა, მაგრამ ქრისტესობისთვის 29, 30, და 31 რიცხვებში ამოკარნდომდა საშისლმა ქარებმა დიდი ზარალი მოგვტა. ამ წლის ანგარს ორ-ამდე აქეთ თოვლი არ მოსულა. ანგარს ორს კარგი თოვლი მოვიდა, მაგრამ

მაკლე დადნა და ესლა 10 და 11-შიაც თოვლს.

რახმაძე.

ს.ო.უ. პატარაქული. დაიხსნა ჩვენი სოფელი ფაქრობს ბაბლიოთეკის დასახესს, მაგრამ ეს ფაქრა სისრულეში კერ მოუყვანათ. ამის მიხედა ის გასლავთ, რომ აქამდე მოთავე არა ჰქვადო; ესლა-კი ზოგაერთ სახლგანდ უმწიდალებს და უმეტეს ნაწილად ამ სოფლის განათლებულ ქალების მეცადინეობით არსდება ბაბლიოთეკა-სამეთსელო. ამ ფრად საყურადღებო საქმეს ენკენისთავადგანეე მოჭადეს სელა ამ ბატარაქულმა ქალებმა და დაიწყეს ფულისა და ქართულ უფრნად გასეთების მოკრევა, როგორც შემდებულ სალხში, ისე თაგანთ ნათესავთა შორის. ბატარაქულის საზოგადოება დადის ადტირებით ეკებება ამ განებას საუნ-ქვს და იმედას ქართული საზოგადოება და გულშემატკვარნი ჩვენის ერისა, ქართულ-რუსულ რეაქციებიც და, რასაკვირველია, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც არ მოაკლებენ უფრადღებას მომავალ წიგნთ-საცავს. წიგნები და ფული ამ ადრკით უნდა გამოგზავნონ: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩისაშვილის სახლგან-ქედ. აგრეთვე უმცროსი ადგილისათვის მიბომთ თქვენის ბატარაქულ გზს. „იუკიას“ საშუალებით უღრმესი მაღლობა გუძღვანთ იმ ქვემო აღნიშნულ ბიბლიოთეკაში, რომლებსაც კითხვ-ინებებს და შექმება ადამიანის ბატარაქულის მომავალ წიგნთ-საცავს ფულით. *)

სანდრო ბილანიშვილი.

სასამართლო და სამსაჯულო მნა.

როგორც კერძო პირი, ისე საზოგადოება, ერი და მთელი კაცობრიობა აწ-მყოით არ კმაყოფილდება და მოელის მომავალში წარჩინებას,

*) სია შემომწირველთა იხილეთ შემოწირულებათაში.

და როგორც გამომწვივა ჩემი მოსაუბრე მოხუცი ლაპარაკზე.

— ამ შემოდგომის ჩვენი ქართველობა აპირობს პანაშვიდი გადაიხადონ მეფე ერეკლისა და იმ ქართველების მეომართა, რომელთაც გმირულათ შესწირეს მამულისათვის თავი ამ ასი წლის წინათ კრწანისის ველზე ყიზილბაშებთან ბრძოლაში.

— მეგრე რითი გათავდა ომი ერეკლისა, რასაკვირველია დაამარცხებდა თათარს, დარწმუნებით სთქვა მოხუცმა.

— საუბედუროთ არა. მაშინ ააოხრეს და ცეცხლს მისცეს ჩვენი ქალაქი.

— ჰოო, ვიცი, ვიცი, გამიგონია... მაშინ გადმოსულიყო ერეკლე მთიულეთისკენ. ეჭ, წამოიძახა მოხუცმა და გულიდან ამოვარდა ოხვრა. გაიქნია თავი და მცირე დუმილის შემდეგ დაიწყო: ირავლის განა თათარი მოერეოდა, რომ შვილები ვარგებულებენ?..

— როგორ, განა არ, უვარგოდნენ?

— იმისთანა მეფეს განა იმისთანა შვილები უნდა ჰყოლოდა? გამიგონია, რომ როდესაც ერეკლე მეფე თათრებს ეომებოდა ქალაქის წახდენის დროს, იმის შვილი გიორგი ქეიფს ეწყოდა და არამც თუ თვითონ წასულიყო, არამედ არავისთვისაც არ

შეეტყობინებინა, რომ ლაშქარი გასულიყო.

— მაშ ჩვენი თუშები არ ყოფილიყვნენ?

— არც თუშები ყოფილიყვნენ და არც ფშავ-ხევსურები. არ სცოდნოდათ და როგორ იქნებოდნენ. რომ სცოდნოდათ ქულზეკაცი გავიდოდან ერეკლე... ისე თავ-გადადებული ყოფილიყვნენ თუშ ფშავ-ხევსურები, ისე ყვარებით ბატონი ერეკლე, რომ იმისთვის სუყველანი თუნდ ერთ დღეს გაწყდებოდნენ და იმისთანა მეფისთვის ვინ არ შეაკლამდა მტერს თავს...

ძალიან მამაცი მეფე ყოფილიყო ერეკლე, განაგრძო მოხუცმა, პირდაპირ იმის მომრევი არ გაგონილიყო სადმე. არც არავინ უბედავდა თურქებშიაზე ერთი ერთზე გამოსვლას. პირველი შედიოდა ბრძოლაში და ყოველთვის გამარჯვებული თურქე გამოდიოდა. ძალიან თავის ხალხის მოყვარე და თავდაბალი ყოფილიყო ბატონი. ერთ ლაშქრობაში ჯარი დამდგარიყო დამე ერთ ალაგს და საკმაოდ ცივი ამინდიც ყოფილიყო, სარდლებს ბძანებამიეცათ მეომრებისთვის რომ შეშა, მოეტანათ. მეფე ამ დროს გასულიყო სადღაც. მცირე ხნის შემდეგ ენახათ, რომ მეომრებთან ერთად მეფესაც მიაქვს შეშა. მოეტანა

დედწყო და ამ სიტყვებით მიემართა მხლებლებისათვის: „მე ჩემი წილი შეშა მოვიტანე, თავადებო და თქვენი-კი რა მოგახსენოთოა...“

მხლებლებს შეპრცხვენილათ და სუყველანი წასულიყვნენ შეშაზე. განა სხვა ვინმა მეფე იზამდა მაგას?... მაგრამ ერეკლე სულ სხვა მეფე იყო. ის იყო გულკეთილი მფარველი ღარიბ-ობლებისა და ცის რისხვა მტრისა. მეფის სიკვილის შემდეგ მოისპო ჩვენი ვაჟკაცობაც. დრონი იცვალნენ, ვაჟკაცობას ფსი აღარა აქვს. აქ კიდევ ამოიხივრა და ნაღვლიანის თვლით შეპხედა მოპირდაპირე მთებს, რომელნიც მედიდურათ დაპყრებდნენ რ თოვლით მოსილნი მისი წვერები ბრწყინავდნენ უხვ მკათათვის მზის სხივებზე.

მოესწარ ერეკლეს დროინდელ კაცს?

— როგორ არა, მოვესწარ. კარგად მახსოვს მწ-შვილის ლაპარაკი. როგორ არ დამეხსომებოდა ოცი წლის ქაბუკი კიდევ ვიქნებოდი მაშინ. მწ შვილი მოხუცებული კაცი იყო. ერეკლის მომსწრე. კარგადაც ახსოვდა მეფე,

— რა ილაპარაკა მწ შვილი?

— შუა მისი იქნებოდა შირაქში ვიყვით ცხენებთან. ცხვარი წასული იყო მისიკენ და მარტო მეგრო-

განვითარებას განათლებას. კერძო პირი მოელის გამდიდრებას. დაწინაურებას, თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას; აგრეთვე საზოგადოება, სახელმწიფო, კაცობრიობა უსათუოდ მოელის წარმატებას, დაწინაურებას... ერთის სიტყვით, ადამიანი არ კმაყოფილდება აწ-მყოით და დღით-დღე მოელის უმჯობეს მომავალს, თუმცა-კი ეს იმედი ხშირად არ უსრულდება იმას სხვათა და სხვათა გარემოებათა გამო. ყოველს შემთხვევაში დიდი ღირსება კაცისა, რომ ის არ არის კმაყოფილი აწ-მყოით; უამისოდ წარმატება, ნაბიჯის წინ გადადგმა შეუძლებელი იქნებოდა; „თავის აწ-მყოით კმაყოფილი პირუტყვი უფრო ბედნიერი იქნებოდა და შესანატრი, ვინემ თვით სოკრათი აწ-მყოის უმადური და მომავლის კეთლ-დღეობისთვის თავდადებული“. ეს უბრალო ქეშმარიტება და ამისთვის განმარტება არ სჭირია. თუ ამაზედ სიტყვა ჩამოვადე, ეს ბატ. სტივალის წერილის გამო. *) ბატარაქული სტივალის მოგვითხრობს, რომ სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ცვლილებები—რეფორმები, მოხდება ხოლმეო. ერთ დროს მოელიან ერთგვარ რეფორმებს, სხვა დროს—სხვებსაო. მაგალითებრ, 60 წლების პირველ ხანებში რუსეთში ისეთ სამსაჯულო წესდებას (судебные уставы) მოელოდნენ, რომელიც უნდა ყოფილიყო დამყარებული მეცნიერულად გამორკვეულს და ევროპულ სახელმწიფოებდამ გამოინაცადს საფუძვლზედო. ამ უკანასკნელს ხანებში, როგორც-კი გამოავცხადეს, რომ სამსაჯულო წესდების გადათვლიერებას მივყავით ხელიო, ჩვენს საზოგადოებაში, განაგრძობს ბატ. სტივალი, დაიბადა სხვა-და-სხვა ნაირი ეჭვი: ვი თუ უარესედ შესცვალონ ეს წესდება, რომლებშიაც ისედაც დროთა ვითარების გამო,

*) Объединение суда и судебный языкъ — იხილეთ „Сѣверный Вѣстникъ“—ოქტომბრის 1895 წ.

მივედით სუყველანი და სალამი მოვახსენეთ მეფეს.

— როგორა ხართ ჩემო თუშებო, ცხვარი როგორა გყავთ? დაგვეკითხა მეფე.

— თქვენ ცოცხალი ბრძანდებოდეთ, ბატონო ერეკლე, და ჩვენ თუნდ ერთ დღეს დავიხოცებით შენთვის. ვუბასუხეთ ერთხმით.

— მადლობელი ვარ, თუშებო, მადლობელიც ყოჩაღები ხართ, ყოჩაღად იყავით.

ამ სიტყვებით მეფე გაგვიშორდა.

ახლაც საარკესავით წინ მიდგას მეფე ერეკლე, სთქვა მწ-შვილიაო, განაგრძო ჩემმა მოსაუბრე მოხუცმა, სიბერისაგან თუმცა ბეჭებში მოხრილიყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ კიდევ გმირული გული უცემდა მკერდში, რომ სულ სხვა ვარსკვლავზედ იყო დაბადებული.

გათავა ჩემმა სასიამოვნო მოხუცმა ლაპარაკი, შეპხედა, მეს, „ოჰ, კარგა ხანი გასულა“, ამ სიტყვებით გამომემწვილობა და გასწია ნელ-ნელა სახლისკენ.

— გმადლობ, ბატონსანო მოხუცო! იცოცხლე, რომ კიდევ გვიგონო შენგან ამბავი წარსული ჩვენი ცხოვრებისა!..

ივ. ბ.—ლი.



ბევრი ისეთი ცვლილება იქმნა შეტანილი, რომ დღეს წინანდელ სამსახულო წესდებას ძლიერ-და იცნობს კაცი. მაგრამ, ამ შემთხვევაში, საზოგადოება დაამზავდა ოფიციალურ განცხადებამ, რომ უმთავრესი საფუძველი წესდების, ჩარხი, რომელზედაც ის ტრიალებს, მომავალშიაც იგივე დარჩება შეუცვლელად. ამის გამოგონებ თავისუფლად ამოვიხრეთო, ამბობს იგივე ავტორი, რადგანაც უკეთეს და გაუმჯობესებას ამ დროით ვინ-ღა დაეძვებოდა. იმითაც კმაყოფილი ვიქნებით, თუ უმთავრესი საფუძველი, დედა-ბოძი, რომელზედაც არის დამყარებული სამსახულო წესდება, დაცულ იქმნა და დარჩა შეუცვლელად. ამ შემთხვევაში ავტორი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ წესდების მიმართულების და საფუძვლის შეურყევლობა იმაში როდი მდგომარეობს, რომ რაც დღემდის დარჩა შეუცვლელად ის-ღა მანაც დარჩეს მომავალში, არა, — ის იმედოვნებს, რომ, რაც აქამომდე შეიცვალა, რაც დღემდის დაჰყარა წესდება, რითაც ამ წესდებას ფერი ეცვალა უარესად, ყოველივე ესე დაუბრუნდება იმეც წესდებას და მხოლოდ მაშინ ექნება გადათვლიერებას ნაყოფიერი შედეგი. — თუ რასში უნდა გამოიხატოს სამსახულო წესდების საფუძვლის დაცვა, იმის გადათვლიერების დროს, ამაზედ ავტორი უბახუბებს, რომ ამ შემთხვევაში მიუცილებლად საჭიროა მართლ-მსაჯულების გაერთიანება (объединение правосудия распространением компетенции суда присяжных на все преступления, признаваемые болше или менше тяжкими) მთელს სახელმწიფოში ნაფიც-მსაჯულებთა შემწეობით, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდეს განაჩენის დასადგენად უფრო მძიმე სისხლის სამართლის საქმეები.

შემდეგ ავტორს მოჰყავს განხილვის უნაკონსის სიტყვები, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნაფიც მსაჯულთაგან შემდგარი სამსახულო ერთიანად გამოსადგეია ყველა ხალხისთვის, განათლების რომელს ხარისხზედაც უნდა იდგეს ერთი. ბ-ნი სტივალის ამტკიცებს სხვა-და-სხვა გვარ სამსახულო წეს-წყობილების უფარგისობას ერთსა და იმავე სახელმწიფოს სხვა-და-სხვა ერისათვის და ამ შემთხვევაში ის უპირატესობას აძლევს ნაფიც მსაჯულთა სამართლის მთელს სახელმწიფოში მიუხედავად იმისა, თუ სად რა მოდგმის ხალხი ცხოვრობს. აქ ავტორი განიხილავს ერთს დაბრკოლებას, რომელიც ვითომ იმის დედა-აზრს ეწინააღმდეგება, ე. ი. თუ რა ენაზედ უნდა იქმნეს სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმის წარმოება: ყოველთვის და მართლ სახელმწიფო რუსულს ენაზედ. შესაძლებელია საქმის წარმოება იმ ენაზედაც, რომელიც დედა-ენა ბრალდებულისა, მოწმეთა და თვით ნაფიც მსაჯულთათვის. ავტორი იმ აზრისაა, რომ ისეთს სახელმწიფოში, როგორც არა.ს რუსეთის იმპერია, სადაც მრავალ მოდგმის და გვარის მკვიდრი ცხოვრობენ, მიუცილებლად საჭიროა სასამართლოში საქმის ბჭობა სწარმოებდეს იმ ენაზედ, რომელზედაც ადგილობრივი მკვიდრი ლაპარაკობენ. ავტორი მეტად მოხერხებულად

და საფუძვლიანად ამტკიცებს ამ შემთხვევაში აზრს. მართალია, ავტორის იზრი ახალი არ არის. ბევრი თქმულა და დაწერილა კიდევ ამ საგნის გამო. ჩვენს ღარბ ლიტერატურაშიაც კი არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა ბასი ამ საკითხავის გამო. ბ-ნ სტივალს არ ეკუთვნის ამ შემთხვევაში არა რაიმე ახალი აღმოჩენა. ავტორს თავისი მარტივის აზრის დასამტკიცებლად არც ისეთი საბუთები მოჰყავს, რომ მათზედ უკეთესი არა თქმულიყვეს. ჩვენ მხოლოდ ავტორის გულწრფელობა მოგვწონს. ვინც ავტორის წერილს დედში წაიკითხავს, ის უსათუოდ დაგვეთანხმება კიდევ, რომ ბ-ნ სტივალს გულ-წრფელობა, საგნის მიწოდება და შეთვისება, იმისი ბეჯითად შეგნება არ აკლია. ავტორი კიდევ იმისთვის არის მადლობის ღირსი, რომ სწორედ საჭირო დრო და გარემოება აირჩია, რომ საზოგადოებას მოელაპარაკოს დედა ენის მნიშვნელობაზედ სამართლის წარმოებაში.

ბ-ნი სტივალის სრულიად თანახმაა, რომ სამართლის წარმოება მთელს სახელმწიფოში მხოლოდ ერთად ერთს სახელმწიფო ენაზედ სახირო და საადვილოა, შედავთს აძლევს მართებლობასაო. მაგრამ ავტორი ამასთანავე იმასაც დასკვნის, რომ თუ სახელმწიფო ენა მიუცილებლად ამ შემთხვევაში სავალდებულო შეიქნა, მაშინ სამართალი და მართლ-მსაჯულება თავისს გზა-კვალს ასცილებს და საკუთარს დანიშნულებას მოკლებული იქნებაო. ბ-ნ სტივალს უკვირს, თუ რისთვის უნდა იყოს სავალდებულო სასამართლოში საქმის წარმოება მხოლოდ სახელმწიფო ენაზედ, როდესაც ეს შეუძლებელია მართლ-მსაჯულებისათვის იქ, სადაც იგი სახელმწიფო რუსული ენა ადგილობრივ მკვიდრთ არ ესმის და ამ ენისა ინიცი არ გაეგებათო. რომელის „მოსაზრებითაც“ განხილვით შეგიძლიათ გაამართლოთ, ამბობს ბ-ნი სტივალის, სახელმწიფო ენის ძალდატანებითი გავრცელება, მაგრამ სასამართლოს-კი რომ ეგ ტვირთი და ბევრა თავზე მოახვიოთ, მე ეს არ მესმისო... „

„რამდენად შეესაბამება მე-XIX საუკუნის უკანასკნელი ხანის მიმართულებას და ვითარებას ძალდატანებით გავრცელება რომლისამე ენისა და წინაპართა ნაანდერძების სისხლორცად გარდაქმნილის სამშობლო ენის უარ-ყოფა, ამას ნათლად ამტკიცებს, ამბობს იგივე ავტორი, ის გარემოება, რომ რუსეთის გაზეთები ასე მრისხანებით ამაგებენ ავსტრიელებს სლავიანებთა შესახებ. დიდის სიამოვნებით ვეთანხმებით და თანაუგრძობთ ამ შემთხვევაში რუსეთის გაზეთებს და იმავე დროს მოვავაგონებთ, რომ ავსტრიამ ძლიერ დაიხია უკან შესახებ სახელმწიფო ენის ძალდატანებით გავრცელებისა. სახელმწიფო ენამ იქ დაჰყარა თავისი მნიშვნელობა, როგორც ერთად ერთმა სავალდებულო ენამ სასწავლებლებში და სასამართლოებში. მაგრამ ამით განათლებას და მართლ-მსაჯულებას არა დაუკარგავს. რა სლავიანებთა შორის“ — მოგვითხრობს ბ-ნი სტივალის. ავტორის აზრით, თუ სახელმწიფო ენა სავალდებულოდ გახადეს რუსეთის სახელმწიფოში, რუსული ენის უკოდინარი ხალხი, მილიონობით მცხოვრები რუსეთის სახელმწიფოს

სხვა-და-სხვა კუთხეში, იძულებული შეიქნება შესტკიროს სასამართლო დაწესებულებას, სადაც მსჯელობა მისთვის გაუგებარ ენაზედ სწარმოებს, როგორც გამოუდგეარს დაწესებულებასო. არავითარის ძალით არ შეიძლება შეაცვლენოთ იმათ თავისი შეხედულება მაგგვარ სასამართლოებზედაო. „ეინ არ იცისო, ამბობს ბ-ნი სტივალის, თუ რამდენად იჩაგრება მართლ-მსაჯულება იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს და მოწმეებს, ენის უკოდინარობის გამო, არ შეუძლიანთ გარდასცენ საქმის გარემოება პირ-და-პირ მსაჯულებს და იძულებული არიან თარჯიმანს მიმართონ.“

ჩვენის მკითხველ საზოგადოებისათვის საყურადღებოა ბატ. სტივალის მოთხრობა შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა მალოროსიაში, მაგრამ ამაზედ ლაპარაკს არ განვაგრძობთ, რადგანაც ქართველ საზოგადოებას ეგრეთი მდგომარეობა თითონ გამოუყვლია.

დასასრულს, ბატ. სტივალის აზრით, მიუცილებლად საჭიროა აგრეთვე, რომ მსაჯულთა იცოდეს უსათუოდ ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ ადგილობრივი მცხოვრებლები. „მსაჯული, რომელმაც არ იცის ადგილობრივი ენა, არა აქვს შესწავლილი ადგილობრივი ერის ზნე, ხასიათი, ჩვეულება და შეხედულება, იმას არ შეუძლია სინიღისზედ დამყარებული მსჯელობა იქონიოს საქმის გარჩევაში... მსაჯულს უნდა ქონდეს დამსახურებული პატივი და რწმუნება მკვიდრთა მხრივ, ხოლო ყოველივე ესე შეუძლია თავისიან კაცს და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში-კი სხვა ადგილიდან მოსულს კაცს, ისიც მაშინ, თუ ეს უკანასკნელი შემკულია სხვა-და-სხვა კარგის ღირსებით. მაგრამ რადგანაც ღირსების მეტონერი საზოგადოდ ცოტანი მოიპოვებენ, ამისათვის მართლ იმათ იმედზედ არ უნდა ვიყოთ“, ათავებს ამით პატივცემული ავტორი.

ნარკვევა
(ურბან-გაზეთებიდან.)

„ნოვოე ვრემია“-ს თავისი ბრწყინვალე ყურადღება მიუქცევია „მოს. ვედ.“-ის ფურცლებზედ დაბეჭდილს „ქართველის“ წერილისათვის. ეს წერილი შეეხებოდა სომეხთა ქცევას ქართველების შესახებ. როდის აქეთია ნეტავი, რომ „მოს. ვედ.“-ისა და „ნოვ. ვრემია“-სათვის ქართველი ერის ინტერესები საყურადღებო შეიქმნა? ვაი თუ ამ ყურადღებას სხვა საფუძველი ჰქონდეს და მისი სათავეც იმ პოლიტიკურს მოძღვრებაში იყოს, რომელიც სცილობს წყალი ამდვირის, რომ თვეში უფრო კარგად დაიჭიროს. ამ ექვს ისიც გვიძლიერებს, რომ ჩვენთვის საყურადღებო თავდა-აზნაურთა კრებების სიტყვებზედ ზემოხსენებულმა გაზეთებმა კრინტიც არ დასძრეს.

უცხოეთი

—

ავსტრ-უნგრეთი. 13 იანვარს კრაკოვის სამსჯავრო შეუდგა რუსე-

თის ქვეშევრდომთა პროცესის განხილვას. ბრალდებულნი არიან — ადამბერტ კოზერსკი, სამილიტარული შტრუტენერი, მისი ცოლი შარლოტა და ქალიშვილი ალმა. ამათ ჰპრალდებათ ჯაშუშობა და საყურადღებო სიღმუღლო დოკუმენტების მოპარვა. საქმის გარჩევა ერთს კვირას განეგრძობა, ხალხის დაუსწრებლად.

—

იაპონია. „ნიუ იორკ ჰერალდ“-ს ატყობინებენ ვანკუვერიდან 16 იანვარს: ტოკიოდამ მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონიის ახალ ბიუჯეტისათვის მოუმატებიათ 44 მილიონი იენი; ამ ფულიდან 20 იმილიონი იენი მიემატება სამხედრო ბიუჯეტს და 24 მილიონი საზღვაო ბიუჯეტს. იაპონიას აზრად აქვს ათის წლის განმავლობაში ხმელეთის ჯარი ერთი ორად აქციონ და ფლოტი ერთი სამად გააძლიერონ.

—

იტალია. იტალიანური გაზეთები ჯერ კიდევ თავგამოდებით ამტკიცებენ, რომ საფრანგეთი შოანელებს იარაღს აძლევდაო. „იტალ. მილიტ.“-ი იუწყება, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ მარსელიდან გამოვიდა 80 ათასი თოფით დატვირთული გემი და წითელის ზღვის ერთ-ერთს ნავთ-სადგურში გადტანაო. ამას გუშინდელი დებეშაც ამტკიცებს. დებეშა გვაუწყებდა, რომ აბესინელთ მკალღზე იერიშის მიტანის დროს ლებელის თოფები აღმოაჩნდათო. „ერიფორმა“, „ტრიბუნა“ და სხვა სამინისტრო გაზეთები მეტად წინააღმდეგნი არიან საფრანგეთისა.

—

ისპანია. მარშალმა მარტინეც კამპოსმა მხედრობის სარდლობა ერთს ისპანელს გენერალს გარდასცა და კუბა დასტოვა. კუნძულის ზომიერ პოლიტიკურ პარტიათა შორის მართლად დიდი უკმაყოფილება იყო მარშალის მოქმედების გამო. ავტონომისტნი იდა კონსტიტუციონური პარტია თხოულობდნენ მარშალი უკან გაეწვიათ, რადგანაც მისი სამხედრო მოქმედებანი უნაყოფო აღმოჩნდნენ; უჩვენებდნენ აგრეთვე იმ საფრთხეს, რომელიც მარშალის მოქმედებას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. გარდა ამისა მადრიდის კაბინეტმა ამბავი მიიღო, რომ თავისუფალ რაზმთა შორის, რომლებიც ისპანიის ჯარებს შეუერთდნენ, დიდი მოძრაობა იჩენს თავსა და ამ მოძრაობას, რომ ბოლო მოელა-სკამაო დიდი ძალა საჭიროო; ამ ამბავმა კაბინეტის გარდაწყვეტილება მეტად დააჩქარა. კამპოსის მოადგილე უკვე დანიშნულია. ექსპედიციის საქმეები ახლა გენერალს ველიერსა აქვს მინდობილი; ველიერი სასტიკ ემომრად და კუბის კუნძულის დამოუკიდებლობის დიდ წინააღმდეგად ითვლება. ველიერს მინდობილი აქვს ენერგიულ საშუალებათ მიმართოს აჯანყების დროზე მოსაპოვებად. ასი-ათას ჯარს ისპანიისა, რომელიც ამ ემად კუბაზე იმყოფება, მალე კიდევ სხვა ახალი ჯარები მიემატება.

—

გერმანია. „რუს. ვედ.“-ში აწერილია, თუ როგორ იდღესასწაულა გერმანიამ თავისი გაერთიების 25 წლის იუბილე. 25 წლის წინად ვერსალში, ლუი XIV-ს სასახლეში ვილჰელმ I პაპა დღეინდელის იმპერატორისა

აღიარებულ იქმნა გაერთიებული გერმანიის იმპერიის იმპერატორად. უმეტესი ნაწილი გერმანელებისა, განსაკუთრებით განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, აღტაცებული იყო. მათ განუხორციელდათ დიდი ხნის წადილი და იხილეს თავისი ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი. რამდენმა საუკეთესო მამულისწილმა შესწირა თავი სამშობლოს განთავისუფლებას. ფრიდრიხი, მამა ებლანდელის იმპერატორისა, ტახტის მემკვიდრედ იყო და ასეთს დიდ მნიშვნელოვან სიტყვებს ამბობდა: ჩემი იდეალი მართლ ძლიერი სახელმწიფო-კი არ არის, სახელმწიფო, რომელიც სისხლითა და რკინით არის აღგებული. მკწამს, რომ ბედმა მარგუნა გონიერის ხალხის მართვა, იმ ხალხის, რომელიც თავისუფალია და პროგრესისს—წინსვლის გზაზედ შეუფერხებლად ივლის.“

მართალია ეს იმედები სავსებით არ აღუსრულდათ და დღეს ბევრი უკმაყოფილო ჰყავს გაერთიანებულის გერმანიის მთავრობას, მაგრამ მანაც ყველა, კონსერვატორია იგი, თუ უკიდურესი რადიკალი, იმ აზრის არის, რომ გერმანიის გაერთიანება მიუცილებელი იყო. რასაკვირველია, მხოლოდ შინაგანი ბრძოლა ეხლაც სჭირია გერმანიას, მაგრამ ეს ბრძოლა ნაციონალურ გაერთიანებას არ შეეხება.

ყველაზედ უფრო შესანიშნავი მომენტები იყო კრება სასახლეში, ეგრედ წოდებულს „თეორს ზალაში“. აქ იყო მრავალი დიდებული ფერადი სადღესასწაულო ტანი-სამოსით, მათში შავ წერტილებად მოჩანდნენ რამდენიმე დეპუტატის ფრაკი და ფრიდრიხის ქვრივის შავი კაბა.

იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც უკვე მოყვანილი გვქონდა ჩვენს გაზეთში. გაათავა თუ არა სიტყვა, ხალხი ევაშას დაძახებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს იმპერატორმა ანიშნა გვარდიის პოლკის უფროსს, და ამან დროშა დაუშვა. ამ დროს იმპერატორმა ხელი დაადგა დროშას და აღუვებულის ხმით წარმოსთქვა: ამ დროშის წინაშე ვფიცავ და ვზღებ აღთქმას, რომ ყოველი ღონე ვიხმარო, რათა დაუმკვიდრო ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს კეთილ-დღეობა და მათი ღირსება მტკიცედ დავიფარო. ერთი არის იმპერია, ერთი — ხალხი, ერთი — ღმერთი“. ამ სიტყვების საპასუხოდ ხალხმა დაიგრილა „გაუმარჯოს იმპერატორს“. სამი საათის შემდეგ იმპერატორთან გამოცხადდა სტუდენტების დეპუტაცია, რომელთაც ადრესი მიართვეს. ამ ადრესში მოხსენებული იყო, თუ რა ღვაწლი მიუძღვით სტუდენტებს მათი სამშობლოს განთავისუფლებაში. იქვე იმედები იყო გამოთქმული, რომ ვილჰელმ II-ის მეფობის დროსაც უნივერსიტეტის ცხოვრების დიდებული პრინციპები მხოლოდ პრინციპების შემწეობით შეიძლება მეცნიერების განვითარება და სწავლა-განათლების გავრცელება. საღამოს მთელი ქალაქი სადღესასწაულოთ მორთული და გაჩაღებული იყო; მხოლოდ „პარისის მოედანზედ“ განათებულ სადგომთა შორის ბნელს მოეცვა საფრანგეთის საელიჩო, საიდანაც არამც თუ არ გამოშუქდა ოდნივე სინათლე, არა-



მედ ფანჯრებზე ჩამოფარებული ფარ-
დები გარეგანს სინათლესაც კი არ
აკარებდა მას. ეს თვალის წარმტა-
ცი, ძველთა-ძველი შენობა მთელს
ბრწყინვალე სივრცეზე მოსჩან-
და შავ წერტილად, თითქოს
თავის ყრუ მწუხარებით ეუბნე-
ბოდა თვითვეულს, რომ გერმანიის
გავრთიანება, რომელმაც ეს ღრესა-
სწაული გამოიწვია, მოხდა ქირანუ-
ლისა და ტყვიით გულ-დაფუთვით
პარისის ვალავანთანაო.

საზრანბეთი. თუ რა დიდს მნი-
შენლობას აძლევს საფრანგეთი
სამეურნეო სწავლას, ჩვენ და-
ვინახავთ შემდეგ ცნობებიდან:
(პარისში) არსებობს ერთი ნაციონა-
ლური სამეურნეო ინსტიტუტი, ოთ-
ხი ნაციონალური სამეურნეო სასწა-
ვლებელი (გრინონში, რენენში,
მონპელიეში და ვერსალში), კიდევ
ერთი იმგვარივე სკოლა მამიროლში,
დიუეში, 39 პრაქტიკული სამეურნეო
სასწავლებლები, 16 ფერმა-სკოლა, 9
საბალანსო, ერთი აბრეშუმის და
ერთი სკოლის მოშენების სკო-
ლა. ამასთან, უნივერსიტეტებში, სა-
ოსტატო სემინარიებში, ლიცეებში
და სხ. ამგვარ სასწავლებლებში და-
არსებულია 352 სამეურნეო კათედ-
რა; პირველ დაწყებით სკოლებშიაც
სავალდებულოა მეურნეობის შესწავ-
ლა; იქვე არსებობს 61 სამეურნეო
სადგური და ყველა დებარტამენტ-
ში თითო საცდელი მიწა, ყვე-
ლა ამ დაწესებულებათ სავ-
ნად აქვთ მეურნეობა შეასწავლონ
იმ 3,318.500 წვრილ მიწათ-მომ-
ქმედთ, რომელნიც მთელ საფრანგე-
თის ძალას შეადგენენ. ამის გარდა
დანიშნულია პროფესორები, რომელ-
ნიც მოვალენი არიან დანიშნულ
დროზე დაიარონ სოფლები და აღ-
გილობრივ შესწავლონ გლეხებს სა-
უკეთესო სამეურნეო მეთოდები. თუმ-
ცა 20 წელიწადია, რაც თითქმის
ყველა ზემოხსენებული სასწავლებ-
ლები დაარსებულია, მაგრამ საფრან-
გეთის სამეურნეო საქმე სამაგალითო
ნაყოფს გვიჩვენებს და ამასთანავე,
ეს სასწავლებლები იზიდავენ მრავალ
ახალგაზრდებს, რომელნიც უწინ მხო-
ლოდ სენ-სირის და პოლიტექნიკურ
სკოლებს ეტანებოდნენ.

**შურნალ-გაზეთები და
წიგნები**

— ყველა ფერი შესაძლოა კაცს ეფიქრნა,
მაგრამ კვრის ნაჭები რომ რაშიმე გა-
მოსაღვი ყოფილიყო, ამას-კი მხელად თუ
ვინმე იფიქრებდა. ერთი სასაფლაო მეურნე-
ობის გაზეთი საფრანგეთის გავრცელებს,
რომ ძალიან სცდებიან ისინი, ვინც კვერ-
ცის ნაჭებს ნაგავს აყოლებს და როგორც
უვარგის რამეს ჰყრისო. ნაჭები თურმე
მდიდარია კირის მარლებითა და ჭოსჭა-
ტებითა. ნაჭები კარგად რომ დაფხვანს კა-
ცმა და აურთოს მოზარდის საქონლის, მაგა-
ლითობრ, ხზორებისა და კვიციების საქმე-
ში, ძალიან ჰრგებს თურმე და ასუქებს.
ამიტომაც მოზარდის საქონლის მზრდელთა
სხენებული გაზეთი gazette des campagnes)
ურჩევს კვერცხის ნაჭები იყიდოს ხოლმე
მებუღებებისა და კანდიტორებისაგან, რომ-
ელნიც ბევრს კვერცხსა მზარჯავენო.
ენა ბრველ კაცზე, რომელიც ენას უკი-
დებს ხოლმე, თურმე დიდი ზედ-მოქმედება
აქვს მთვარესა. ერთს ინგლისელ მეურნალს
გამოუძიებია, რომ ენა-ბრვილი კაცი უფ-

რო მაშინ იკიდებს ძალიან ენას, როცა ცა-
ზე სრული მთვარეა. რამდენიც მთვარე კლე-
ბაში შედის, იმდენად უფრო უადვილდება
ენის ხმარება და როცა დამით სულ არ
არის მთვარე, მაშინ ენა უფრო მეტად ენს-
ნებაო. (პ. ი. ლ.)

— წმინდა ოქრო და ვერცხლი შეიძლება
აღამიანმა ძალიან ადვილად გამოარჩიოს
ყალბისაგან. ამისათვის საჭიროა წყალში
გახსნილი ეშმაკის მარილის (растворъ ли-
шица) ერთი წვეთი წაუსვთ გასარჩევს საგანს
და თუ ვერცხლი და ოქრო წმინდა და ხა-
ლასია, არასფერს დაიჩნევს და თუ ყალბია,
მუქი ლაქები დაჩნდება.

შემოწმისყოფა.

შემოწმისყოფელთა სია პატარძელის წიგნთ-
საცავის სასარგებლოდ:
მარიამ ფიცხელაური 5 მან., აბელ იაშვი-
ლი 1 მ. 40 კ., ილიკო მენთეშაშვილი 2
მ., ბაბე ბილანიშვილი 1 მ., პულაგია ბი-
ლანიშვილისა 1 მ., ტასო ლევანიძე 1 მ.,
ალ. ლევანის ძე 1 მ., ანტ. ენაგლოვი 1 მ.,
იოსებ ბილანიშვილი 1 მ., ანა ჯილაურის
ქვრივი 1 მ., ზაქარია ჯილაური 1 მ., და-
ვით ჯილაური 1 მ., ვასილ ბიბილაშვილი
1 მ., მარიამ მთიკაშვილისა 1 მ., ნინო
ბილანიშვილისა 50 კ., თამარ ბილანიშ-
ვილისა 50 კ., ალექ. ბილანიშვილისა 40
კ., თეიმურაზ ქვლივიძე 1 მ., ზაქ. ჩიქოვანი
50 კ., ვფემია ჩიქოვანისა 50 კ., ძეო ყუ-
შიტაშვილი 1 მ., მიხეილ ოთარაშვილი 1 მ.,
ალ. კოჩინი 1 მ., სვ. გიუნაშვილი 1 მ.,
ალ. ბენაშვილი 1 მ., მიხა მენაშვილი 40
კ., ვანო ელურდაშვილი 40 კ., ივარ მუ-
რადაშვილი 30 კ., სანდრო მარტიაშვილი
20 კ. სულ 33 მანეთი და ორი შაური.
დიდის მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე
ის პირნიც, რომლებიც მონაწილეობას იღე-
ბენ როგორც ფულისა და ნივთების შეწირ-
ვით, ისე შრომითაც, მაგალითად: მარიამ
ლევანიძის ასული, რომელმაც ბიბლიოთე-
კას შესწირა ერთი მანეთი ფულად და ერ-
თი ვერცხლის საათი, ანა ბილანიშვილის
ასული—1 მ. და ოქროს ბეჭედი, ნატალია
ცხედაძის ქვრივი—ერთი ლომონის ხე, კა-
ტო ბილანიშვილის ასული ერთი მანეთი
და ერთი ნაკერი ბალოში.
ბიბლიოთეკის მზრუნველი სანდრო ბილა-
ნიშვილი.

სამართლო თეზისი.

თავადნი იმერეთისანი. 20 იანვარს
1865 წელს უმადლესად დამტკიცებუ-
ლის სახელმწიფო სასჯის განაჩით
იმერეთის უკანასკნელ მეფეთა შთამომა-
ვალთ, მამაკაცთა შტოდამ, თავადთა იმე-
რეთისათ—მიეცათ ტიტული უკანასკნე-
ლესობისა.
უმართულებების სენატის დადგენი-
ლებით 8 მარტს 1860 წ. თავადდ
დამტკიცებულ და V გვარეულობათა
სიაში შეტანილ იქნა გვარდიის შტას-
კაპიტანი ნიკოლოზ კოსტანტინეს ძე
იმერეთისა და ცოლი მისი მარამ ელ-
ნიკაშვილის ასული (ზურაბისა).
უმართულებების სენატის დადგენილე-
ბით 1-ლ და 29 სექტემბერს 1865
წ. და 10 ნოემბერს 1887 წ. უგანთ-
ლებულებსობის ტიტულით თავადებად
დამტკიცებულ იქნენ პლატონიკი ალექ-
სანდრე და ნიკოლოზ კოსტანტინეს
ძენი და კარნეტი ვლადიმერ კოსტან-
ტინეს ძე იმერეთისანი.

დეკემა
(რუსეთის დეკემბრის საგანგებოაგან)
16 იანვარი.

**პეტერბურგი, 15 იანვარს გერ-
მანიის იმპერატორის დაბადების დღეს**
მითმა უდიდებულესობამ ხელმწიფე
იმპერატორმა და ხელმწიფე იმპერა-
ტრიცამ ალექსანდრა თეოდორეს
ასულმა კეთილ ინებეს და მიიპატი-
ეს სახაზარო სასახლეში საუზმეზე
გერმანიის ელჩი მეუღლით, საუზმე-
ზედ მიპატიებელი იყვნენ სხვა დი-
დებულნი გვანნი. მისმა უდიდებუ-
ლესობამ გერმანიის იმპერატორის
სადღეგრძელო მიირთვა.

**პეტერბურგი, 15 იანვარს სტეი-
ნიცისა და ლასკერის პარტია გაყა-
ნილა.** აგრეთვე ჩიგორინისა და პილ-
სბერის. ჭადრაკის თამაში სრულიად
გათავდა. პირველი ჯილდო მიიღო
ლასკერმა (11 1/2 პარტია), მეორე
სტეინიცმა (4 1/2 პარტია), მესამე
პილსბერმა (8 პარტია), მეოთხე ჩი-
გორინმა (7 პარტია). 16 იანვარს
სამხანაგოდ ითამაშებენ ჭადრაკს.

ბერლინი. იმ მოსალოცავ დეპე-
შთა შორის, რომელიც იმპერატო-
რმა მიიღო, პირველთაგანი იყო ბი-
სმარკის დეპეშა. იმპერატორმა მიი-
ღო კვირეს საღამოს რუსეთის ელჩი
ბარონი ოსტენ-საკენი, რომელმაც
გადასცა მის უდიდებულესობას ხელ-
მწიფე იმპერატორის მისალოცავი
ბარათი სურათი. სურათზე ის მო-
მენტია დახატული, როცა რუსეთის
გემის წინ გაიარა იმპერატორ ვილ-
ჰელმის გემმა.

რუში. 14 იანვარს იტალიელთა
ბანაკში მოვიდა ფელტერი. მენელი-
კის ბარათით მეფე ჰუმბერტოსთან
და გენერალ ბარტიერთან. ნეგუსი
თხოულობს გაუზგზნონ დესპანნი
სამშვიდობო პირობების შესახებ მო-
სალაპარაკებლად. ფელტერი ამბობს,
რომ ვალიანთ თავისი პატალიონით
მშვიდობით განაგრძობს გზას.

„ტრიბუნა“ ამბობს, რომ სანამდი
ვალიანთ მაკალედამ გავიღოდა ცი-
ხე-სიმაგრე ააფეთქა.
სოფია. ხმა დიდის, რომ ბულ-
გარიის სამინისტროს აზრად აქვს
სამსახურს თავი დაანებოს. სტოი-
ლოვს უთქვამს ერთს ადგილს, რომ
პრინც ბორის ამ დღეებში მონა-
თვლენ მართადიდებლად.

ივერიის მოსტა.

საღმ. საჯანჯანო—სტ. თარგ-ეს:
წვრილი წვრილები, როგორც არა ერთხელ
გამოვიცხადებია, არ უბრუნდებიან უკან
არავის.

განცხადებანი

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ
გამოცემული ახალი წიგნები:
1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება)
მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი
ი. გამეღლაურის მიერ. 48 გვერდი,
ფასი ერთი შაური.
2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა.
თარგმნილი მ. გურიელისა. ავტო-
რის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურა-
თით კარგს ქალაღზედ. ფასი 10 კ.

3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნი-
ერთა და ფალოსოფოსთა თქმული
და გაგონილი ქალების შესახებ).
შეკრებილი თ. სახოკიას მიერ. სურ-
ათით, მშენიერს ქალაღზედ 20 კ.
4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო
უჩამეიშვილისა, ფ. 15 კ.

დრამატული თხზულებანი
აკუსტი ცხარასა
წიგნი პირველი
1) ციბირელი,
2) ქართველი დედა,
3) ბაიყუმი.
ავტორის სურათით.
ფასი 50 კაპ.
(10—5—4)

გამოვიდა და დაურეგდა გასასყი-
დათ კ. თავართქილაძის ახლად
გამოცემული

ივანე როსტოვაშვილის გამოცხადება 1896 წელს.
1896 წლის განმავლობაში გამოვიდა 18 ახალი ქართული
წიგნი და 1 ალბომი—**ქართული ტომი** (гвужинскія
племена) ასევე მეტი სურათით და მოკლე აღწერით.
პირველი ორი წიგნი—**მთავრის შვილი**, 12 სურათით
და **წროშა, სიმდიდრე და ფულბანი**, ადამ სმიტის სურა-
თით, გამოვიდა ამ წლის საშობაოდ.
ფასი მთელს გამოცემისა: წლით—4 მანეთი, ნახევარის
წლით—2 მანეთი. ალბომი გვეგზავნება მხოლოდ წლიურ ხე-
ლის-მომწერლებს.
ფული უნდა გამოგზავნოს—**Тифлисъ, Давид. пл. № 6,**
Ивану Павловичу Ростовову. (6—6).

იხმარეთ მხოლოდ
საზრანი „**პაჭალინი**“—იაფი, კარგი, პრაქტიკული
და მარგებელი.
ჭიკეინის „**ამხანაგობისა**“ ს. პეტერბურგში.
ს. პეტერბურგი, ალექსანდრ. მოკლ., 9., მოსკოვი, ვარშავა.
(9—7—7).
ისუღება ქვედას.

„ივერია“
1896 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა,
რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:
12 თვით 10 მ.—კ. | 6 თვით 6 მ.—კ.
11 „ 9 „ 50 „ | 5 „ 5 „ 50 „
10 „ 8 „ 75 „ | 4 „ 4 „ 75 „
9 „ 8 „ — „ | 3 „ 3 „ 50 „
8 „ 7 „ 25 „ | 2 „ 2 „ 75 „
7 „ 6 „ 50 „ | 1 „ 1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთა „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.
ტფილისის გარე მესაქონეთ უნდა დასაჩინებ ცხუთა შემდეგის ადრესთ:
Тифлисъ, Редакція „ИВЕРΙΑ“.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისის გარეშე აღრეს-
ხელ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციას ერთი მანე-
თი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდან სხვა ადგილს გადავიდა სად-
მე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის
წლით, მას გვეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდან, რომელსაც
დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.
ფასი განცხადების დასაბამად
ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჟურ სტრუქტურა—8 კაპ., პირველზე—
16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი
გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრუქტურებისა გამოაჩანდა იქნება იმის კვა-
ლობაზე, რამდენს ადგილსაც დაჰქვს 25 სთა გაზეთის ტექსტისა.
ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ
უნდა გამოგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საჯანჯანო წერილები, თუ საჭიროება მო-
ითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც და-
ბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა,
მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს, ხოლო წერილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.
არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდედ ხელ-ნაწერები-
სა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.
პირისპირ მოსალოპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება
ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდან პირველ საათამდე
და საღამოობით 6-დან 7 1/2 საათამდე.
რედაქცია იმყოფება: **ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.**